ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3328745

ნომერი: AR1499210

თარიღი : 28.04.2017

გაცემის თარიღი : 16.06.2017

გაცნობის თარიღი : 16.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარეკეთილი 3 , მიკრო/რაიონი IV , N185-ე სკოლის წინ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა სირაძე პ/ნ 01010013468
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 13 ბ. 30

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 28 აპრილის AR1499210 განცხადება, რომლითაციითხოვთ ქალაქი თბილისში, ვარეკეთილი3, IV მიკრო/რაიონი, N185-ესკოლის წინ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.39.005.003 (ფართობი 1800 კვ.მ.)), 2015 წლის 14 დეკემბერს №2342804 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას ახალი საკადასტრო მონაცემების დასაფიქსირებლად.

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული აქტი მომზადებულია განმცხადებლის თეიმურაზ სააკაშვილის განაცხადის საფუძველზე

კაფე–ბარის (ტერასით, მაღაზიით, საცხობებით, ავტოპარკინგით და საშუალოზომის გასართობი მოედნით) ფუნქციი თ, საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3)–ის პარამეტრებით და პირობებით. რადგან საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3)–ში აღნიშნული ფუნქცია საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, აქტი დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიეტეტის მერის 2015 წლის 18 დეკემბრის N4478 ბრძანების საფუძველზე, სადაც ფიქსირდებოდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.19.39.005.003.

ამ ეტაპზე განხორციელდა ნაკვეთის გამიჯვნა ორ საკადასტრო ერთეულად (საკადასტრო კოდები: N01.19.39.005.076 და N01.19.39.005.077), ვინაიდან მოთხოვნაა აქტში დაფიქსირდეს ერთი საკადასტრო ერთეული (საკადასტრო კოდი: N01.19.39.005.003) საჭირო გახდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიეტეტის მერის 2015 წლის 18 დეკემბრის N4478 ბრძანებაშიც ცვლილების განხორციელება ახალი საკადასტრო კოდის დასაფიქსირებლად. საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულრიების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 05 ივნისის N22 სხდომაზე, რომლის დასკვნის შესაბამისად საკითხი გადაწყდა დადებითად.

საკითხის განსახილველად საჭიროა 2015 წლის 14 დეკემბერს №2342804 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების თაობაზე მოგვმართოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ხაიძია შიმ ან მისმა მინდობილმა პირმა, რომელსაც უფლება ექნება მესაკუთრეს სახელით დაარეგისტრიროს განცხადება არქიტექტურის სამსახურში.

2017 წლის 28 აპრილის AR1499210 გადაწყვეტილებით განცხადებაზე დაგიდგინდათ ხარვეზი და განგესაზღვრათ დამატებითი 15 დღიანი ვადა, ხარვეზისდადგენის შესახებ გადაწყვეტილებას თქვენ გაეცანით 2017 წლის 30 მაისს ვინაიდან ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი15 სამუშაო დღიდან თქვენი მხრიდან გამოყენებულია 02 სამუშაო დღე, ამეტაპზე მოთხოვნილი ინფორმაციის დასაზუსტებლად დარჩენილია 13 სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობას დარჩენილი 13 სამუშაო დღის ვადაში.

აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3292677 გადაწყვეტილების შესაბამისად თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.